მიზანი ახლოს იყო...

დონეცკი. “შახტიორის” ცენტრალური სტადიონი. 10 ოქტომბერი.

“შახტიორი” (დონეცკი) _ “დინამო” (თბილისი) 3:2 (2:0).

“შახტიორი”: კოროტკიხი (გოვოროვი), გოლოვკო, ზიმა, სალკოვი, გუბიჩი, გრიგორიევი, ბაზილევი (ევსეენკო), გლოდიანისი, სტანკიავიჩუსი, პილიპჩუკი, ლობანოვსკი.

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, კანთელაძე, რეხვიაშვილი, პეტრიაშვილი, დათუნაშვილი, ასათიანი (იამანიძე), მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.

მსაჯი ს. ალიმოვი (მოსკოვი).

დუბლიორები _ 2:0 “შახტიორის” სასარგებლოდ.

პირველ ტაიმი აღინიშნა მასპინძელთა უპირატესობით, რომლებმაც ორჯერ აიღეს მეტოქის კარი: 22-ე წუთზე _ ბაზილევიჩმა და 43-ე წუთზე _ გლოდიანისმა.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა მტკიცედ იგდეს ხელთ მატჩის სადავეები და ჯერ სიჭინავა (49-ე წ.), შემდეგ კი რეხვიაშვილმა (59-ე წ.) გაქვითეს ანგარიში. “დინამომ” ამით თითქოს შესრულებულად მიიჩნია ამოცანა, მოადუნა ტემპი და... დაისაჯა კიდეც: 69-ე წუთზე გლოდიანისმა თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა.

მსაჯმა მინდვრიდან გააძევა პეტრიაშვილი.

“ლელო”, 11 ოქტომბერი, 1967 წ.